



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ქუთაისის სასწავლო ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

აგროლოჯისტიკის ოპერატორი

მეოთხე საფეხური

ქუთაისი

2015

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: აგროლოჯისტიკის ოპერატორი

II. მიმართულება – ბიზნესის ადმინისტრირება

III. პროფესიული განათლების საფეხური - მეოთხე

სწავლების ენა-ქართული,

პროგრამის ხელმძღვანელები:

1. ეკა ჩოხელი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი.  
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 571-62 63 20; E-mail: [e\\_chokheli@yahoo.com](mailto:e_chokheli@yahoo.com);
2. დავით კვიციანი - ინჟინერიის აკადემიური დოქტორი  
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: 0(431) 27-21-66; 593-36-30-29; E-mail: [datokb@mail.ru](mailto:datokb@mail.ru)

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - The 4th level professional qualification of the agroljistics operator

V. პროგრამის მოცულობა: 30 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი) სულ 750 საათი.  
მათ შორის: თეორიულ კომპონენტს ეთმობა - 18 კრედიტი (450 სთ.).  
პრაქტიკის კომპონენტს - 12 კრედიტი (300 სთ.).

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 საფეხურზე დაშვება მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

VII. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საქართველოში აგროლოჯისტიკის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან პრიორიტეტს. ჩვენ ქვეყანას გააჩნია საკმარისი რესურსები, რათა აწარმოოს მაღალი ხარისხის სასურსათო პროდუქტები, რომელთა მოთხოვნა, იზრდება როგორც შიდა ისე საექსპორტო ბაზარზე, აქედან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, მიწოდება-გასაღების ბაზარზე შესაბამისი ბალანსის უზრუნველყოფა წარმოადგენს აქტუალურ საკითხს, რისთვისაც აუცილებელია დაინერგოს თანამედროვე ლოჯისტიკური სისტემები.

„აგროლოჯისტიკის ოპერატორის“ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ზემოთ აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტისათვის მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიღების, დასაწყობების, შენახვა-გადამუშავებისა და ტრანსპორტირების ერთიანი საწარმოო ციკლის წარმოებისათვის.

**დასაქმების სფერო**

საგანმანათლებლო პროგრამის აგროლოჯისტიკის ოპერატორის მე-4 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის სპეციალისტის დასაქმების ობიექტებს მიეკუთვნება: აგროლოჯისტიკური ცენტრები და მის დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმღებ-გამანაწილებელი პუნქტები, სასაწყობო მეურნეობები, საცალო და საბითუმო ბაზრობები, აგრეთვე ის ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომელთაც ჭირდებათ აგროლოჯისტიკის სფეროში სათანადო ცოდნითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტი.

## VIII. სწავლის შედეგი

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

|                                     |  |   |
|-------------------------------------|--|---|
| <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> | <p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p> | <p>გაცნობიერებული აქვს ლოჯისტიკის ამოცანები და ფუნქციები, განვითარების ტენდენციები და დონეები. იცის: აგროლოჯისტიკურ სისტემაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვების, საწარმოო-ტექნოლოგიური, მარაგების კონტროლის, მიწოდება-განაწილებისა და სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაციის თეორიული საფუძვლები; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვა-გადამუშავების ტექნოლოგიის ოპერაციული სისტემა; პროდუქციის ტრანსპორტირებისას ხარისხის უზრუნველყოფის ხერხები; მომსახურების ბაზრის ლოჯისტიკური სისტემის ფორმირების პრინციპები და ამოცანები, პროდუქციის გასაღებაზე მომსახურების შეფასების კრიტერიუმები; დასაწყობების ლოჯისტიკის ფუნქციები და ამოცანები; სასოფლო-სამეურნეო ტვირთების მიღება-გადამუშავების , დასაწყობების, მომხმარებელთა შეკვეთების მომსახურების ოპერაციებისა და მარაგების კონტროლის განხორციელების პრაქტიკული მეთოდები; ტრანსპორტირების სახეები, გადაზიდვების ორგანიზაციისა და სატრანსპორტო მომსახურების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდები; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვისა და მოთხოვნილება-მიწოდების ოპერაციების დაგეგმვისათვის შეგროვილი ინფორმაციის სისტემატიზაციის ხერხები და მონაცემთა ბაზის შექმნის მეთოდები.</p> |
|-------------------------------------|--|---|

|   |   |   |
|---|---|---|
| <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> | <p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით</p> | <p>შეუძლია: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოთხოვნილების პროგნოზირებით სამომხმარებლო ბაზრის მიზნობრივი სეგმენტების შერჩევა; მიწოდება-გასაღების ბალანსის შეფასება ბაზარზე პროდუქციის პოზიტიურობის სტაბილური დონის მიღწევისათვის; პროდუქციის გასაღებაზე გაწეული დანახარჯების გამოთვლა, მისი მინიმუზაციის ამოცანის გადაწყვეტისათვის პრაქტიკული ღონისძიებების დაგეგმვა და წარმართვა; ოპერაციების განხორციელების პროცესში პროდუქციის ხარისხზე კონტროლი; შენახვა-გადამუშავების ორგანიზება; სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გასაზიდვების ორგანიზაციის დაგეგმვაში მონაწილეობა; სატრანსპორტო პროცესის მონიტორინგი და მომსახურების ხარისხის დონის შეფასება; სატრანსპორტო პროცესში წარმოქმნილი შეფერხებებისა და ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მათი აღმოფხვრისათვის ოპერატიული ღონისძიებების გატარება; სასოფლო-სამეურნეო ტვირთების სახეობების მიხედვით დასაწყობების ტექნოლოგიური სქემების შერჩევა, საწყობში ტვირთების მიღების, შიგასასაწყობო ტრანსპორტირების, საფუთავისა და ტარის გამოყენებით გადამუშავების, შენახვაზე განთავსების, მომხმარებლების შეკვეთების კომპლექტაციისა და მიწოდების ოპერაციების დაგეგმვა და წარმართვა; დასაწყობების ლოჯისტიკური მანქანების შერჩევა ტექნიკური მონაცემების მიხედვით; სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგული კვლევის შედეგების საფუძველზე სხვადასხვა ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და მოცულობის ზომის პროდუქციის მარაგების შექმნა და კონტროლი.</p> |
| <p><b>დასკვნის უნარი</b></p>                      | <p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი</p>  | <p>აქვს უნარი პროფესიული საქმიანობის პროცესში მონაცემების იდენტიფიკაციისა და ანალიზის გზით ამოიცნოს ტექნოლოგიური პროცესის შეფერხებების მიზეზები, გააკეთოს შესაბამისი დასკვნა და დასახოს ღონისძიებები მათი აღმოფხვრისათვის. შეუძლია ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.</p>   |

|                                  |   |   |
|----------------------------------|---|---|
| <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p> | <p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p> | <p>თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში პროფესიულ საკითხებზე შეუძლია ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p>   |
| <p><b>სწავლის უნარი</b></p>      | <p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა–განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.</p>  | <p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში, აქვს უნარი აგროლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიის შესწავლისას მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა დამოუკიდებლად გააღრმავოს აგროლოჯისტიკურ პროცესებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად.</p> |
| <p><b>ღირებულებები</b></p>       | <p>პასუხისმგებლობით ეკიდება საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>   | <p>შეუძლია შეაფასოს საკუთარი და პერსონალის დამოკიდებულება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი. აგროლოჯისტიკურ სისტემაში წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტისას იხელმძღვანელოს მორალურ–ეთიკური, გარემოსდაცვითი და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით.</p>         |

## IX. სწავლის შედეგების რუკა

პროესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის/პრაქტიკის გავლის შედეგად მიღწეული კომპეტენციები.

| სასწავლო კურსები /პრაქტიკა                         | სწავლის შედეგები      |                                     |                |                    |               |              |
|--|-----------------------|-------------------------------------|----------------|--------------------|---------------|--------------|
|  | ცოდნა და გაცნობიერება | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | დასკვნის უნარი | კომუნიკაციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებულებები |
| უცხო ენა   | X                     | X                                   |                | X                  |               |              |
| კომპიუტერული ტექნოლოგიები                          | X                     | X                                   |                | X                  | X             |              |
| მათემატიკა ბიზნესისათვის                           | X                     | X                                   | X              |                    |               |              |
| სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქციის შენახვა | X                     | X                                   | X              |                    | X             |              |
| აგროლოჯისტიკის ქვესისტემები                        | X                     | X                                   | X              | X                  | X             | X            |
| აგროლოჯისტიკური სისტემის სატრანსპორტო უზრუნველყოფა | X                     | X                                   | X              | X                  |               |              |
| დასაწყობების ლოჯისტიკა                             | X                     | X                                   | X              | X                  |               |              |
| სამომხმარებლო ბაზრის მომსახურების ლოჯისტიკა        | X                     | X                                   | X              | X                  |               | X            |
| სასწავლო პრაქტიკა                                  | X                     | X                                   | X              | X                  | X             | X            |
| საწარმოო პრაქტიკა                                  | X                     | X                                   | X              | X                  | X             | X            |

**X. სასწავლო გეგმა:**

სასწავლო კურსები/პრაქტიკა კრედიტების მიხედვით. კრედიტი მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

| სასწავლო კურსები /პრაქტიკა                         | საათების განწილება   |                    |                        |                    |                              |                   |                   |                       | სულ საათების რაოდენობა |
|--|----------------------|--------------------|------------------------|--------------------|------------------------------|-------------------|-------------------|-----------------------|------------------------|
|  | კრედიტების რაოდენობა | საკონტაქტო საათები |                        |                    |                              |                   |                   | დამოუკიდებელი საათები |                        |
|  |                      | ლექცია             | სამუშაო ჯგუფში მუშაობა | შუალედური შეფასება | დასკვნითი შეფასება (გამოცდა) | სასწავლო პრაქტიკა | საწარმოო პრაქტიკა |                       |                        |
| უცხო ენა   | 2                    | -                  | 24                     | 2                  | 2                            | -                 | -                 | 22                    | 50                     |
| კომპიუტერული ტექნოლოგიები                          | 2                    | -                  | 24                     | 2                  | 2                            | -                 | -                 | 22                    | 50                     |
| მათემატიკა ბიზნესისათვის                           | 2                    | 8                  | 16                     | 2                  | 2                            | -                 | -                 | 22                    | 50                     |
| სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქციის შენახვა | 2                    | 8                  | 16                     | 2                  | 2                            | -                 | -                 | 22                    | 50                     |
| აგროლოჯისტიკის ქვესისტემები                        | 2                    | 8                  | 16                     | 2                  | 2                            | -                 | -                 | 22                    | 50                     |
| აგროლოჯისტიკური სისტემის სატრანსპორტო უზრუნველყოფა | 3                    | 8                  | 24                     | 2                  | 2                            | -                 | -                 | 39                    | 75                     |
| დასაწყობების ლოჯისტიკა                             | 3                    | 8                  | 24                     | 2                  | 2                            | -                 | -                 | 39                    | 75                     |
| სამომხმარებლო ბაზრის მომსახურების ლოჯისტიკა        | 2                    | 8                  | 16                     | 2                  | 2                            | -                 | -                 | 22                    | 50                     |
| <b>ჯამი:</b>                                       | <b>18</b>            | <b>48</b>          | <b>160</b>             | <b>16</b>          | <b>16</b>                    | <b>-</b>          | <b>-</b>          | <b>210</b>            | <b>450</b>             |
| სასწავლო პრაქტიკა                                  | 8                    | -                  | -                      | 2                  | 2                            | 196               | -                 | -                     | 200                    |
| საწარმოო პრაქტიკა                                  | 4                    | -                  | -                      | 2                  | 2                            | -                 | 96                | -                     | 100                    |
| <b>ჯამი:</b>                                       | <b>12</b>            | <b>-</b>           | <b>-</b>               | <b>4</b>           | <b>4</b>                     | <b>196</b>        | <b>96</b>         | <b>-</b>              | <b>300</b>             |
| <b>სულ:</b>  | <b>30</b>            | <b>48</b>          | <b>160</b>             | <b>20</b>          | <b>20</b>                    | <b>196</b>        | <b>96</b>         | <b>210</b>            | <b>750</b>             |

სასწავლო კურსები/პრაქტიკა სასწავლო კვირების მიხედვით:

| სასწავლო კურსები/პრაქტიკა                          | სასწავლო კვირათა რაოდენობა |          |         |
|--|----------------------------|----------|---------|
|  | 10 კვირა                   | 10 კვირა | 6 კვირა |
| უცხო ენა   | X                          |          |         |
| კომპიუტერული ტექნოლოგიები                          | X                          |          |         |
| მათემატიკა ბიზნესისათვის                           | X                          |          |         |
| სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქციის შენახვა | X                          |          |         |
| აგროლოჯისტიკის ქვესისტემები                        | X                          |          |         |
| აგროლოჯისტიკური სისტემის სატრანსპორტო უზრუნველყოფა | X                          |          |         |
| დასაწყობების ლოჯისტიკა                             | X                          |          |         |
| სამომხმარებლო ბაზრის მომსახურების ლოჯისტიკა        | X                          |          |         |
| სასწავლო პრაქტიკა                                  |                            | X        |         |
| საწარმოო პრაქტიკა                                  |                            |          | X       |

პროფესიუ

ლი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა -(6 თვე) – 26 სასწავლო კვირა და მოიცავს შემდეგ პერიოდებს

- 10 სასწავლო კვირა -თეორიული სწავლების პერიოდი, მოიცავს 8 კვირას თეორიული მეცადინეობისათვის, 2 კვირას შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის;
- 10 სასწავლო კვირა -სასწავლო პრაქტიკის სწავლების პერიოდი, მოიცავს 8 კვირას სასწავლო პრაქტიკისათვის, 2 კვირას შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის;
- 6 სასწავლო კვირა -საწარმოო პრაქტიკის სწავლების პერიოდი, მოიცავს 4 კვირას საწარმოო პრაქტიკისათვის, 2 კვირას შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის.



## XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა):

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრებას;
- სამუშაო ჯგუფში მუშობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

## XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება:

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის **დადებით შეფასებას**:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61- 70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ) ორი სახის **უარყოფით შეფასებას**:

• (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

• (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

## შეფასების ფორმები:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება;
- სხვა აქტივობები.

## შეფასების მეთოდები:

- ტესტირება;
- ზეპირი გამოკითხვა;
- პრეზენტაცია.

### XIII. სწავლების მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, სწავლების დედუქციური მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი.

**შენიშვნა:** ყოველი ცალკეული სასწავლო კურსისათვის, სწავლის მეთოდები, შეფასების ფორმები და მეთოდები ასახულია სილაბუსებში, რომელსაც თითოეული ლექტორი/მასწავლებელი ირჩევს ინდივიდუალურად.

### XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

ინფორმაცია იმ პერსონალის შესახებ, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო კურსების/პრაქტიკის წარმართვაში მონაწილეობს.

| სასწავლო კურსი/პრაქტიკა                            | პერსონალის სახელი, გვარი                                | კვალიფიკაცია  |
|--|---|---|
| უცხო ენა   | თეა ხეცურიანი   | ფილოლოგიის მაგისტრი   |
| კომპიუტერული ტექნოლოგიები                          | მეგი სულაკაძე   | ინფორმატიკისა და მათემატიკის მაგისტრი   |
| მათემატიკა ბაზრისათვის                             | მეგი სულაკაძე   | ინფორმატიკისა და მათემატიკის მაგისტრი   |
| სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქციის შენახვა | ნანა გოგიშვილი  | ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი  |
| აგროლოჯისტიკის ქვესისტემები                        | ეკა ჩოხელი<br>მავრა თევზაძე                             | ეკონომიკის აკადემიური დოქტორი<br>ინჟინერიის აკადემიური დოქტორი                                  |
| აგროლოჯისტიკური სისტემის სატრანსპორტო უზრუნველყოფა | გიული ქეშელაშვილი<br>გელა ლოსაბერიძე                    | ეკონომიკის აკადემიური დოქტორი<br>ინჟინერიის აკადემიური დოქტორი                                  |
| დასაწყობების ლოჯისტიკა                             | დავით კბილაშვილი<br>ბასილაძე მალხაზი                    | ინჟინერიის აკადემიური დოქტორი<br>ინჟინერიის მაგისტრი  |
| სამომხმარებლო ბაზრის მომსახურების ლოჯისტიკა        | ზაზა ჩხარტიშვილი  | ინჟინერიის აკადემიური დოქტორი   |
| სასწავლო პრაქტიკა                                  | გელა ლოსაბერიძე<br>ზაზა ჩხარტიშვილი<br>დავით კბილაშვილი | ინჟინერიის აკადემიური დოქტორი<br>ინჟინერიის აკადემიური დოქტორი<br>ინჟინერიის აკადემიური დოქტორი |
| საწარმოო პრაქტიკა                                  | დავით კბილაშვილი<br>გელა ლოსაბერიძე<br>საწარმოოდან      | ინჟინერიის აკადემიური დოქტორი<br>ინჟინერიის აკადემიური დოქტორი<br>—                             |

## **XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ**

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის სასწავლო ცენტრის აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები, კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და შესაბამისი პროგრამების პაკეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი პროფესიულ სტუდენტებს მისცემს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ელ-ფოსტა, რომლის მეშვეობით მათ ექნებათ მჭიდრო კავშირი თითოეულ ლექტორთან/მასწავლებელთან.

პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ სპეციალური ლიტერატურით უზრუნველყოფილი ქუთაისის სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდით.

## **XVI. საწარმოო პრაქტიკა**

პროფესიული სტუდენტების პროფესიული დაოსტატების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის გავლა. რაც ითვალისწინებს შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას და კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

**პროფესიული სტუდენტი მემორანდუმის საფუძველზე საწარმოო პრაქტიკას გადის:**

1. შპს "ზაგრატი", ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის №20
2. შპს "თეგეტა მოტორსი ქუთაისი", ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-9ჩ. №2
3. შპს "ვესტ-ბატონი" ქ. ქუთაისი, სულხან – საბას № 10

## **XVII. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

პროფესიული პროგრამის წამატებით დამთავრების შემდეგ, მას საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურზე.